



კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის

ბრძანება



MOD 1 17 00000036

25/04/2017

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს  
შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 - ე მუხლისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 14 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის "დ" და "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს შრომის შინაგანაწესი".
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის 2014 წლის 26 ნოემბრის № MOD 8 14 00000027 ბრძანება.
3. დაევალოს ადმინისტრაციული სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილებას "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს შრომის შინაგანაწესის" კიბერუსაფრთხოების ბიუროს თანამშრომელთათვის გაცნობა.
4. ბრძანება ძალაშია 2017 წლის პირველი მაისიდან.

კიბერუსაფრთხოების ბიურო / მმართველობა  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი  
როდონ ქორჩილავა